სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

11 აპრილი 2025

N 187/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ზესტაფონისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტებში, შპს „აჭარ ენერჯი-2007“-ის 100 მგვტ სიმძლავრის ქარის ელექტროსადგურების („როდინაული 1“ და „როდინაული 2“), 110 კვ ძაბვის ქვესადგურის და 35 კვ ძაბვის მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის და ამავე კოდექსის II დანართის 3.4 და 3.9 ქვეპუნქტების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, ზესტაფონისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტებში, შპს „აჭარ ენერჯი-2007“-ის 100 მგვტ სიმძლავრის ქარის ელექტროსადგურების („როდინაული 1“ და „როდინაული 2“), 110 კვ ძაბვის ქვესადგურის და 35 კვ ძაბვის მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნა N28;
2. შპს „აჭარ ენერჯი-2007“ ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N28 სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „აჭარ ენერჯი-2007“-ს და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „აჭარ ენერჯი-2007“-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში, სკოპინგის დასკვნა განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ასევე ზესტაფონისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტების აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფებზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/187-21-4-202504110950